- სურნელოვანი ნივთიერება | უეცარი შიში | ანთიმოზ (...), ქართვ. მოღვაწე | მე – ლათინურად | ანტილოპის სახეობა | მაგარი მთის ქანი
- აშშ ჩოგბურთელი | ქოფრუადე (...), („ანჟელიკა“) | (....) ისააკიანი | კანოე, პიროგა | ჯერ ნამცხვარი არაა
- ვიტამინი B | თავშია | ტოტალიზატორი | ქვეყანა აფრიკაში | ღმერთების მთა | ჩინარი
- ირლანდიელი მწერალი | ფრანგი მწერალი | უზნაძის „წინამორბედი“ | საპატიმრო ორმო (ძვ.)
- ძვ. იტალიელი ფეხბურთელი | იგრიკა | ერეკლე ანუ პატარა (....)
- ნათელ-(....) | მწვანილის შეკვრა | ელექტროდი | ყურძნის ჯიში | დიდი მსუბუქი მანქანა | მთხოვნელის დასახევი | ნაწარმოები თეატრისთვის
- ჩვენი ტყავი | საექსპრესიო გუნდი | რბილი ლითონი
- უცნობი (ავტორი) | შაკილ (....) | ჭადრაკის პროფესორი | ნასრედინი იყო | მაგარი ქვა
- (....) მარი | მადრიდის მუზეუმი | ბრეგვაძეებს ჰქონდათ | ფანდი ჭიდაობაში | ბელინის ოპერა | ხილი
- „მაუგლის“ პერსონაჟი | სასაუზმე | არის! | ლენინი
- ჩვენი საკროსვორდო სოფელი | პაუზა | (....) ბაგრატიონი
- რუსთავის პროდუქცია | ნაოჭებიანი ქსოვილი | ზღაპრული ცხენი
- ლუდი კარგია | ჭაობის გაზი | დასაბმელი ჯოხი | სასმისი
- მდინარე აფხაზეთში | კანფეტი | პარიზი-დაკარი | მიცვალებულს აფარია | კვერცხს აქვს | (....) ლანოვოი



**თარაზულად**: 1. ...რა თქმა უნდა, იცანით, მოჭყუმპალავე **ორნელა მუტი**... ახლახან მას მიენიჭა კიდე ერთი ტიტული - „იტალიის ყველაზე ლამაზი (......) 4. 1981 წ 13 მაისის მატჩის ერთ-ერთი მონაწილე. 10. ევროპის ქვეყანა. 11. XX ს რუსი გრაფიკოსი, ქსილოგრაფის ოსტატი. 12. საბჭოდი მანქანების მწარმოებელი ცნობილი ფირმა. 14. თბილისის „რელიეფური“ ტოპონიმი. 15. ავიაძრავების უკრაინელი კონსტრუქტორი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. 16. ბიბლიური პერსონაჟი. 17. პერსონაჟი სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი გალერეიდან. 19. უკრაინული გვარი, რომელიც, ალბათ, ყველაზე ხშირად გვსმენია. 21. პერსონაჟი გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხისა“. 24. ადგილი, სადაც გორკის ცნობილი პიესის მოქმედება მიმდინარეობს. 25. ახლანდელი ჰოლივუდის ერთ-ერთი ვარსკვლავი ქალბატონი. 27. ფერწერაში - საგნების, ფიგურების მოხაზულობის შერბილება. 28. შუშანიკისათვის ერთობ და ერთობ დამახასიათებელი თვისება. 29. (ლინგვისტიკაში) სიტყვაწარმოება, წარმოქმნა. 30. ერთ-ერთი ჩვენი ცნობილი კინოპაპა.

**შვეულად**: 1. ერთი დიდი კაცის როლს გურამ საღარაძე ასრულებდა, მის მკვლელად კი ეროსი მანჯგალაძე მოგვევლინა... ჩვენ სწორედ მკვლელის ვინაობა გვაინტერესებს. 2. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელი 80-იან წლებში. 3. უნგრელი პოეტი, რევოლუციონერ-დემოკრატი. 4. (*ხომ მაგრები ხართ?*) ინდიელი ტომების - ჩიბჩანების - ერთ-ერთი ენა. 5. ახლო წარსულის ცნობილი კოლუმბიელი ფეხბურთელი. 6. აკრობატიკის ნაირსახეობა. 7. ცეკვა... მორგუნოვის შესრულებით. 8. (*ვიცი, რომ მაგრები ხართ!*) ძვ.წ.აღ. I ს და ახ.წ.აღ. III ს მისტიური მიმართულება ძველბერძნულ ფილოსოფიაში. 9. ჩეხ მეშახტეთა სოფელი, რომელიც 1942 წ 10 ივნისს ფაშისტებმა პირისაგან მიწისა აღგავეს. 13. უმაღლესი პილოტაჟის ერთგვარი ფიგურა. 18. მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობა. 19. (*...აკი მაგრები ვართო?!*) დონ (.......) პორტუგალიის მეფე, პოეტი-ტრუბადური XIII-XIV სს. 20. იტალიის ქალაქი. 22. სახელი ლესინგის ერთი ტრაგედიის მთავარი პერსონაჟისა, სახელად გალოტის. 24. (*მაგრებით?!*) ცნობილი ამერიკული საიუველირო ფირმა, რომლის მეპატრონესთანაც ერთხელ ოდრი ჰეპბერნს „საუზმის გამართვა“ მოუხდა. 26. საფრანგეთის ისტორიის ერთი ავადსახსენებელი პერსონაჟი.




*ახალი რუბრიკა* **მთელი სამყარო ცხრილებში**

**ზეობის ყველაზე დიდი ხანგრძლივობა დღეს მცხოვრებ მონარქთა შორის**

| | | დაიბადა | ტახტზე ავიდა |
|---|---|---|---|
| 1 | **ბხუმიბოლ აბილიადეჯი** *ტაილანდი* | 1927 წ 5 დეკემბერი | 1946 წ 9 ივნისი |
| 2 | **რენიე III** *მონაკო* | 1923 წ 31 მაისი | 1949 წ 9 მაისი |
| 3 | **ელისაბედ II** *დიდი ბრიტანეთი* | 1926 წ 21 აპრილი | 1952 წ 6 თებერვალი |
| 4 | **ჰუსეინი** *იორდანია* | 1935 წ 14 ნოემბერი | 1952 წ 11 აგვისტო |
| 5 | **ჰასან II** *მაროკო* | 1929 წ 9 ივლისი | 1961 წ 26 თებერვალი |
| 6 | **ისა იბნ-სულმან ალ-ხალიფახი** *ბაჰრეინი* | 1933 წ 3 ივლისი | 1961 წ 2 ნოემბერი |
| 7 | **მალიეტოა ტანუმაფილ II** *დას.სამოა* | 1913 წ 4 იანვარი | 1962 წ 1 იანვარი |
| 8 | **ერც-ჰერცოგი ჟან** *ლუქსემბურგი* | 1921 წ 5 იანვარი | 1964 წ 12 ნოემბერი |
| 9 | **ტაუფა-ახაუ ტუპოუ IV** *ტონგა* | 1918 წ 4 ივლისი | 1965 წ 16 დეკემბერი |
| 10 | **ყაბუს იბნ საიდი** *ომანი* | 1942 წ 18 ნოემბერი | 1970 წ 23 ივლისი |

# ორტურიანი მიკროტურნირი

**სპორტულ-საკროსვორდო ფორმის შესანარჩუნებლად; პასუხებს მივიღებთ შაბათ-კვირას, ნებისმიერ დროს. პრიზი არ გვაქვს.**

როგორც ერთმა ქალბატონმა გვითხრა, მას ადრე ე.წ. **Что? Где? Когда?**-ს კითხვა-პასუხი არ აინტერესებდა, ახლა კი დიდი ინტერესით ერთვება მსგავსი *პრობლემების* გადაჭრაში; ამიტომაც მისთვის და სექტემბრის ტურნირის მომლოდინე ყველა სხვა მკითხველისათვის (ფორმის შენარჩუნების მიზნით!) ვბეჭდავთ რამოდენიმე კითხვას **ვახტანგ ელერდაშვილის** რეპერტუარიდან

1. ყველასათვის ცნობილია თუ რას წარმოადგენს ძენ-ბუდიზმი. არსებობს ასეთი ფრაზა, რომელიც მიეწერება ბოდჰიდჰარმას - „როდესაც შენთვის არ არის ცნობილი ძენის მოძღვრება, შენთვის მთები წარმოადგენს მთებს და მდინარეები - მდინარეებს; როდესაც შენ ეწაფები ძენის მოძღვრებას მთები აღარ არის მთები და მდინარეები აღარ არის მდინარეები, ხოლო როდესაც შენ მიაღწევ გასხივოსნებას, მაშინ...“

**რა მოხდება მაშინ?**

2. ბარბარა ლოუეტ კლაინი წიგნში „ფიზიკოსები ძიებაში“ წერს: „მაქს პლანკი შეიძლება იმ პირველყოფილ ადამიანს შევადაროთ, რომელსაც სურდა სხვადასხვა მასალაში ნახვრეტის გაკეთების უკეთესი საშუალება ეპოვა და ამაზე თვეები, წლები და ათეული წლებიც კი დაკარგა, სხვადასხვა მასალა და საშუალება მოსინჯა და სრულიად შემთხვევით...“

**რას მიაგნო მან სრულიად შემთხვევით?**

4. 1785 წელს ფრანგი ზღვაოსანი ლაპერუზი გაემართა 4-წლიან ექსპედიციაში. ექსპედიციის მიზანი იყო აღმოეჩინა ყველა ის მიწა, რომლებიც ჯეიმს კუკის მახვილ თვალს გამორჩა. ექსპედიცია შედგებოდა ორი 500-ტონიანი ხომალდის „ბუსოლის“ და „ასტროლაბიისაგან“, რომლებიც ლაპერუზმა ყველა სხვა ძვირფასი რუკებისა და სამგზავროდ საჭირო ნივთებთან ერთად დატვირთა 600 სარკით...

**რაში სჭირდებოდა ამდენი სარკე ლაპერუზს**

4.მას სახელწოდება მისცა საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვარზე მდებარე მთათა სისტემამ. მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ცარცთან. ცნობილია მაიკლ კრაიტონის რომანი, რომლის სათაურშიც ვხვდებით კითხვაში ხსენებულ სახელწოდებას. მოგვიანებით ჰოლივუდში გადაიღეს ფილმი, ამ რომანის ეკრანიზაცია, რომელსაც იგივე სახელწოდება ჰქონდა, რაც რომანს...

**რა ჰქვია ამ ფილმს?**

***აქვე გვსურს მადლობა მოვახსენოთ ყველას, ვინც ჩვენი წარმატება გაიზიარა და მოგვილოცა ა.წ. 8 ივლისს გამართული ფინალური თამაშისა გამო კლუბში – „რა? სად? როდის?“***

# გინესების რეკორდების წიგნი

## ზომები

### გახდომის რეკორდსმენები

ჯონ ბროვერ მინოკი

1979 წლის ივლისისათვის მსოფლიოში ყველაზე მსუქანი ადამიანი იყო ჯონ ბროვერ მინოკი; ამის შემდეგ, 16 თვეში მან საკუთარი წონა 645 კგ-დან 216-მდე ჩამოიყვანა, ანუ 419 კგ დაიკლო.

როზალი ბრედფორდი

როზალი ბრედფორდმა 1987 წლის იანვრიდან 1994 წლის თებერვლამდე 544 კგ-დან საკუთარი წონა 128-მდე ჩამოიყვანა და ამრიგად ქალთა შორის გახდომის რეკორდი - 416 კგ - დაამყარა.

რონ ელენი

აშშ-ს ტენესის შტატის მკვიდრმა რონ ელენმა 1984 წელს 24 საათის განმავლობაში 9,7 კგ დაიკლო; მისი საწყისი წონა ამ დროისათვის 113 კგ იყო.

### გასუქების რეკორდსმენები

ჯონ ბროვერ მინოკი

1981 წლის ოქტომბერში ჯონ ბროვერ მინოკმა 7 დღეში 89 კგ მოიმატა, რის შედეგადაც კვლავ მოათავსეს ქალაქ სიეტლის საავადმყოფოში.

არტურ კნორი

გარდაცვალაებამდე 6 თვის განმავლობაში აშშ-ს მოქალაქე არტურ კნორმა წონაში 133 კგ მოიმატა.

დორის ჯეიმზი

აშშ-ს კალიფორნიის შტატის ქალაქი სან-ფრანცისკოს მკვიდრმა დორის ჯეიმზმა, როგორც ახლობლები ამტკიცებენ, თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლის განმავლობაში 147 კგ მოიმატა.

*ჩვენს მკითხველს, ქალბატონ მერის აინტერესებს*

**გასული ნომრის „ფანტაზიაში“, კოსმოსის ათვისების შესახებ გამოქვეყნებულ სიაში აღნიშნულია, რომ „აპოლონ-13“-მა, ხომალდის გაუმართაობის გამო, ვერ შეძლო მთვარის ზედაპირზე დაშვება... მაინც რა მოხდა?**

...სხვათა შორის არსებობს მშვენიერი ფილმი ტომ ჰენკსის მონაწილეობით, რომელიც ასტრონავტ ჯეიმზ ლოველის როლს ასრულებს; ამ ფილმში საკმაოდ კარგადაა ნაჩვენები ყველაფერი... რეალობაში კი მოხდა ის, რომ 1970 წლის 13 აპრილს, 13 საათსა და 13 წუთზე მთვარისაკენ მიმავალ „აპოლონ-13“-ში ჟანგბადის ერთი ავზი აფეთქდა. ასტრონავტები (ლოველი, სუიჯერტი და ჰეისი) ამ დროს დედამიწიდან 330 ათასი კმ მანძილით იყვნენ დაშორებულნი. აფეთქების შედეგად ჟანგბადის მეორე ავზიც დაიცალა. ხომალდს შემოაკლდა ელექტროენერგია, საწვავი, ჰაერი, საჭმელი და სასმელი. ნახშირმჟავა აირების კონცენტრაციამ ჯანმრთელობისათვის საზიანო ოდენობას გადააჭარბა. ატმოსფეროში დასაბრუნებამდე საორიენტაციოდ საჭირო შეიქნა მთვარის მოდულის ძრავის გამოყენება, რაც აბსოლუტურად არ იყო გათვალისწინებული ამგვარი ამოცანისათვის. ატმოსფეროში შესვლის ახალი ტრაექტორიის გათვლა NASA-ს სპეციალისტებს 2 დღეში მოუხდათ (...რასაც ჩვეულებრივ სამიოდე თვე სჭირდებოდა ხოლმე მაშინ). ელექტროენერგიის ნაკლებობისა გამო, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა დაშვებისას საჭირო პარაშუტების გახსნა, მაგრამ ასტრონავტთა ფანტასტიური პროფესიონალიზმისა და გამძლეობის წყალობით დედამიწაზე დაშვება უსაფრთხოდ მოხდა და ეს უფრო მეტი გმირობა იყო, ვიდრე ის, რისთვისაც ისინი მთვარისაკენ მიეშურებოდნენ, ანუ მთვარის ზედაპირზე გასეირნება.

# „იაპონელი მხატვრების“ ტურნირი სამ ტურად (მე-2 ტური. 14 ივლისი)




## „იაპონელ მხატვართა“ ტურნირის წესები

1) გააფერადეთ ნახატი, დაგვირეკეთ და გვითხარით - რა გამოგივიდათ და სწორი პასუხის შემთხვევაში **ერთი ქულა** დაგეწ-ერებათ.

2) თუ სწორად გააფერადებთ ამ ნახ-ატს, გაუფერადებელ უჯრებში დაგრჩებათ 10 ასო (...დანარჩენი 10 გაფერადებულ უჯრებში მოყვება და ისინი ჯანდაბასაც წაუღია); ჰოდა, გაუფერადებელ უჯრებში დარჩენილი 10 ასოთი უნდა შეადგინოთ, რაც შეიძლება, მეტი სიტყვა და ეს სიტყ-ვები მოგვახსენოთ.

- ყოველი სიტყვა **ერთი ქულაა**.
- სიტყვა უნდა შედგებოდეს **არანაკ-ლებ ხუთი ასოსაგან** და უნდა იყოს:

...მხოლობით რიცხვში ჩასმული **პირ-ველადი** არსებითი სახელი ან სახელზმნა, რომელსაც დაესმის კითხვა ვინ? ან რა?

...საკუთარი და გეოგრაფიული სახე-ლები არ ჩაითვლება.

...არ ჩაითვლება, აგრეთვე, მეორადი სახელები; ანუ **სწავლა** ითვლება მისგან ნაწარმოები სიტყვები კი - მასწავლებე-ლი, სასწავლებელი, ნასწავლი, უსწავლელე, სწავლება, მოსწავლე და ა.შ. ***არ ითვ-ლება***.

...არ მიიღება, აგრეთვე, ნაირგვარი მითოლოგიური თუ რელიგიური განზო-გადებული ცნებები, რადგან ეს სიტყვები ასეა თუ ისე, საკუთარი სახელები ან ტოპონიმებია.

...ვიმეორებთ - ჩაითვლება მხოლოდ „პირველადი“ არსებითი სახელები ან სახელზმნები.

გასული ნომრის პასუხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აუცილებლად ჩაით-ვლება სიტყვები: ბეწვი. ალმასი, წვიმა, წვლილი, ალავი და ა.შ. მლესავი, საწებე-ლი, სალეწი და მისთანები კი არ ითვლება, რადგან ყოველი მათგანი თავსართ-ბო-ლოსართებითაა ნაწარმოები **„პირვე-ლადი“** სიტყვისაგან.

- პირველი ტურის სრული ანულირ-ება გვსურდა, მაგრამ მივხვდით, რომ მის არასწორ წარმართვაში ჩვენც ვიყავით დამნაშავე, რადგან **„პირველადობის“** ცნება გასული ნომრის წესებში არ დავაკონკრეტეთ, ამიტომ პირველი ტურის მონაცემების მიხედვით, ვინც 40 სიტყვაზე მეტი მოძებნა ნაირგვარ ლექსიკონებში, იქნება 3- ქულიანი, 20-40 სიტყვის ავტ-ორებს ექნებათ 2 ქულა, ხოლო 20-ზე ნა-კლებ სიტყვაზე იწერება 1 ქულა; ამრი-გად პირველი ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა:

**3 ქულა** - ვახტანგ ნანავა, ზიზი ბუბა-შვილი, გიორგი გელოვანი, ნანა ხიდე-შელი.

**2 ქულა** - მაია ედიშერაშვილი, ალექს-ანდრე მალხაზის ძე ელერდაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, მაკა კუხალაშვი-ლი, თინა ფურცელაძე, ქეთი ბესელია, ბე-ქანიშვილი.

**1 ქულა** - ჯაბუ ბოხაშვილი, ირმა ფუხ-აშვილი, სოლომონ მამუჩიშვილი, გიორ-გი თამაზის ძე ჯავახიშვილი, გიორგი სანოძე, ელეონორა ფურცელაძე.

3) გამარჯვებული საჩუქრად მიიღებს ილუსტრაციების ალბომს



გასული ნომრის საკონკურსო ნახატზე კი უნდა მიგეღოთ **კურდღელი** და **ზღარბი** და არა კუ, დათვი, კოალა, ლოკოკინა და მისთანები, როგორც ზოგიერთმა მონა-წილემ ჩათვალა იმისა გამო, რომ ხატვა ბოლომდე არ მიიყვანა და შესაბამისად საჭირო ასოებიც ვერ მოძებნა; ალბათ, ამ-იტომაც გვკარნახობდნენ ასეთ სიტყვებს - ბაწარი, საწამლავი და ა.შ. ჩვენს მაგალ-ითში კი არ იყო ასო „რ“, ასო „ა“ მხოლოდ ორჯერ გვხვდებოდა და არა სამჯერ.

გთხოვთ ყურადღებით იყოთ!

### *მცირე კომენტარი*

*ჩვენ ნამდვილად არ გვეგო-ნა, რომ „ფანტაზიელთა“ რიგებში ამდენი იაპონელი მხატვარი გვყავდა, ამიტომაც ბოლო დროს ამგვარი შედევრე-ბის ბეჭდვას ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდით; დღეს კი ასეთი წინადადებაც კი შემოვიდა, რომ დროდადრო ერთჯერადი გაზეთი გამოვუშვათ, სადაც იქნება მხოლოდ იაპონური ნახატები (კიდევ გაზეთი?!)*

*...ნახატებს კი ინტერნეტში „ვშოულობთ“ და აუცილებლად ვუკეთებთ რედაქტირებას და ზოგჯერ სანახევროდ ვცვლით კიდეც, რათა თქვენთვის უფრო მოსახერხებელი (...და არა ადვილი) იყოს მისი გაფერადება.*

*...ჩვენთვის სირთულე, თვ-ითმიზანი კი არა, ცხოვრების წესია!*

**გასული ნომრის მე-20 გვერდის იაპონური ნახატი**



ჩვენი და თქვენი საკროსვორდო-ლინგვისტური შესაძლებლობების შემოწმების მიზნით ამჯერად გთავაზობთ იტალიურ კროსვორდს რუსულ ენაზე

| იტალიურ კროსვორდში სიტყვები უნდა ამოიცნოთ განმარტებების მიხედვით, ჩაწეროთ ცარიელ ბადეში და სიტყვების გამმიჯნავი უჯრები გააფერადოთ. განმარტების მარჯვნივ, ფრჩხილებში მითითებულია ამოსაცნობი სიტყვის ასოთა რაოდენობა | *Пристройка* (9) / *Бархатная ткань* (4) | *Очистка льна* (4) / *Часть платья* (3) | *Певчая птица* (5) / *Портниха (уст-ар.)* (8) | *Штаб факультета* (7) | *Хлебный напиток* (4) / *Магнитный сплав* (5) | *Взрывчатка* (6) / *Каптер* (9) | *Герой Горького* (5) / *Жан.... у Гюго* (7) | *Англ. писатель и зоолог* (7) / *Ледяная земля* (8) | *Раздел текста* (5) / *Индейцы Мексики* (4) | *Истощение* (5) / *Свечка у иконы* (7) | *Город в Иордании* (7) / *Крепкий бульон* (4) | *Обруч* (4) / *Совет бояр* (4) | *Восточная сласть* (4) / *Жизненно важно* (7) | *Нота* (2) | *Искусственный водоем* (8) / *Конец молитвы* (5) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *Бараний.... с кашей* (3) / *Дерсу Узала - по-национальности* (5) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Жанр журналистики* (5) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Бойфренд Барби* (3) / *Разрушитель* (6) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Окружение* (5) / *Прежнее название Феодосии* (4) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Хозяйство метрдотеля* (8) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Древний город в Двуречье* (2) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Сомневающийся* (7) / *Большая толпа* (4) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Плодовый сорт* (4) / *Ивняк* (3) / *O'key* (2) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Опера Верди* (4) / *Передача О.Сепиашвили* (8) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Сатирический киножурнал* (6) / *....Горгона* (6) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Певческий коллектив* (3) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Коса* (7) / *Поделка из бумаги* (7) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Город в Англии* (5) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Метла из мочала* (6) / *Свинина* (4) / *Жилище* (3) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Горная система Юж.Америки* (4) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Окантовка* (5) / *Приток Ижмы* (4) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Кугуар* (4) | | | | | | | | | | | | | | | |
| *Итальянская газета* (6) | | | | | | | | | | | | | | | |
| **იხილეთ ქვედა ფოტო** | | | | | | | | | | | | | | | |
| *Бригада бурлаков* (6) | | | | | | | | | | | | | | | |





Поэма

...და თუ ყველაფერი სწორად ამოხსენით, წრეებით მონიშნული 11 ასოსაგან შეგეძლებათ ჩვენს მიერ ჩაფიქრებული ქართული სინამდვილის ამსახველი სიტყვის შედგენა; პირველი შემდგენელი მიიღებს *რუსული ესტრადის კლიპების ჩანაწერიან* ვიდეოკასეტას (დარეკეთ პარასკევს, 13 ივლისს, 14 საათამდე, 79-53-70 ან 8-77 72-61-18)

# ეს უცნაური იტალიელები

*ნაწყვეტები მარტინ სოლის წიგნიდან - The Xenophobe's Guide to the Italians*

## დასვენება და გართობა

იტალიელები ამქვეყნად მთელი თავისი არსებით ცხოვრობენ, ამიტომაც არავის მიაჩნია სამარცხვინოდ, რომ დღეღამეში გაერთოს 24 საათის, კვირაში შვიდი დღის და წელიწადში ორმოცდათორმეტი კვირის განმავლობაში. მათი აზრით - სწორედ ესაა ცხოვრება, რადგან იტალიელები მუშაობენ იმისათვის, **რომ იცხოვრონ** და არა პირიქით.

## სპორტი

ფეხბურთი სპორტის უმთავრესი სახეობაა იტალიაში. აქ მატჩები, როგორც წესი, კვირაობით იმართება და ამ დღეს ყველა მამაკაცი ქუჩაში ყურზე მიდებული ტრანზისტორით დაიარება.

...ხოლო როცა იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობს, მთელ მოსახლეობას **ავიწყდება** კუთხურ-პროვინციული დაპირისპირებანი და ტელევიზორთან სხდებიან მატჩების საყურებლად.

სპორტის მეორე სახეობა, რასაც თითქმის ყველა იტალიელი ეთაყვანება, ველოშეჯიბრი გახლავთ; როცა იტალიელი სპორტსმენები „ჯირო დ,იტალიის“ ან „ტურ დე ფრანსის რბოლებში მონაწილეობენ, მათს გამოსვლას მთელი ქვეყანა ადევნებს თვალყურს.

არადა, იტალიელები ბავშვის აღზრდისას აუცილებლობად სულაც არ მიიჩნევენ სპორტული მომზადების ჩართვას გაკვეთილებში. ძალზედ ცოტა სკოლაა იტალიაში ისეთი, რომელსაც სპორტული დარბაზი გააჩნია; სპორტი პრაქტიკულად მხოლოდ პროფესიონალთა საქმეა (თუმცა კი კვირა დილით შეგიძლიათ პარკში წააწყდეთ ადამიანებს, რომლებიც სირბილით კი არ იკაჟებენ სხეულს, არამედ... ძვირფასი **სპორტული კოსტუმის** დემონსტრირებას ახდენენ.

...მაგრამ, ასეა თუ ისე, იტალიელები ყოველწლიურად ჩუქნიან მსოფლიოს ნაირგვარი რანგის ჩემპიონებს სპორტის ნაირგვარ სახეობაში - ცურვითა და ფარიკაობით დაწყებული ნიჩბოსნობითა და სროლით დამთავრებული.. და, რაც ყველაზე მთავარია, თავად სპორტსმენებიც და მთელი ქვეყანაც ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ გამარჯვების სიხარული **მაქსიმალურად დიდხანს** გაგრძელდეს და მაქსიმალურად აფიშირებული იყოს.

## მაღაზიებში ნანნალი

სავაჭრო ობიქტების კარდაკარ სიარული, ალბათ, იტალიელთა ერთ-ერთი უმთავრესი გართობაა, მით უმეტეს, რომ იტალიის მაღაზიებში **იშოვება ყველაფერი**, ყველა ზომისა და ნაირსახეობისა!

ცენტრალური ქუჩების ვიტრინებში გამოფენილი საქონლის ხარისხმა და სიმდიდრემ კი შეიძლება ადამიანი დააბრმავოს კიდეც... ისევე, როგორც მათმა ფასმა!

გუჩის, არმანის, ვალენტინოს და მისთანათა საფირმო მაღაზიებში ვაჭრობა, მხოლოდ ძალზედ მდიდარი და ძალზედ სახელოვანი ადამიანების პრეროგატივაა, თუმცა ეს არავის აღელვებს, რადგან რიგითმა იტალიელებმა კარგად იციან, რომ მალე ამ საქონელს სულ სხვა ფასად გაყიდიან, როცა **სხვა მაღაზიებში** გასაყიდად გადაანაწილებენ.

ვაჭრობა იტალიელის სტიქიაა და განსაკუთრებით ეს ეხება ბაზარში ვაჭრობას, სადაც შეიძლება გაერთო კიდეც და ფასიც საგრძნობლად დააკლებინო გამყიდველს. მთავარი კი ისაა, რომ არასოდეს იკთხო, თუ ესა თუ ის საქონელი საიდან აქვს ამ ვაჭარს; მოგეწონა რომელიმე ჭინჭი? ფასზედაც მორიგდი? მაშ, იყიდე და ნუ დააზუსტებ - განა ეს ის კაბა არ არის, გუშინ ვია ვენეტოზე 500 000 რომ ღირდა? ამგვარმა კითხვამ შესაძლოა სავაჭრო გარიგება თქვენს საწინააღმდეგოდ შეატრიალოს და 100 000-ის ნაცვლად სხვა თანხის გადახდა მოგთხოვონ.

იტალიელები არანაირ მოჩვენებით სიამაყეს არ ამჟღავნებენ, როცა საქმე ვაჭრობას ეხება; გარიგებისას მოიხმარება ყველა ხერხი და მეთოდი... და თუ ყველაფერი ნორმალურად წარიმართა, შესაბამისი ფასის საზღაურად ნებისმიერ იტალიელს შეუძლია მოგყიდონ საკუთარი 90 წლის ბებია ან ანჩხლი მეზობელი და ღიმილიც **მარილად მოაყაროს** ამ მადლიან გარიგებას.

ნურც ის გაგიკვირდებათ, ნეაპოლში ერთ შუქნიშანთან ბავშვები თქვენს ავტომობილს სანომრე ნიშანს თუ მოხსნიან და მეორე შუქნიშანთან თქვენსავე სანომრე ნიშანში რაღაც გროშებს რომ მოგთხოვენ... **ღიმილით!**

## მთავარია უსაფრთხოება

იტალიელები საკუთარ უსაფრთხოებაზე გადაყოლილნი არიან და ეს გასაგებიცაა, რადგან დანაშაული განუხრელად იზრდება; მხოლოდ ტურინში ყოველ 57 წუთში ერთ ავტომობილს იპარავენ, ყოველ 86 წუთში ერთ ჯიბეს აცარიელებენ და ყოველ ორ საათში ერთ ბინას ძარცვავენ. ამიტომაც იტალიაში უბრწყინვალეს სასიგნალო დანადგარებს და საკეტებს ამზადებენ, რაც სახლებსა და მაღაზიებს **პატარა ციხესიმაგრეებად** აქცევს, მაგრამ... ეს სიგნალები ისეთი მგრძნობიარენი არიან, რომ ჟუჟუნა წვიმის გამოისობითაც კი შეიძლება ჩაირთონ და გამორთვა აღარ დააპირონ...




## კალაბრია Calabria

მდებარეობს იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ამავე სახელწოდების ნახევარკუნძულზე, იონიისა და ტირენის ზღვებს შორის. შედგება სამი პროვინციისაგან: კატანძარო, კოზენცა და რეჯო დი-კალაბრია.

კალაბრია იტალიის „ჩექმის“ წვეროს წარმოადგენს და მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია და სრუტითაა გამოყოფილი სიცილიისაგან.

**ფართობი** - 15 080 კვ.კმ. **მოსახლეობა** - 2 153 700.

**ადმ.ცენტრი** - რეჯო-დი-კალაბრია (Reggio di Calabria) (178 000 მცხ.).

კალაბრია იტალიის მეღვინეობის ერთ-ერთი ცენტრია.

ამ რეგიონს „კალაბრია“ უწოდეს ბიზანტიელებმა, რომლებმაც მე-7 საუკუნეში მოაქციეს ის თავისი იმპერიის საზღვრებში.

## იტალიის მნიშვნელოვანი ქალაქები

| | | |
|---|---|---|
| 01. აგრიჯენტო | 56 000 | *სიცილია* |
| 02. ალესანდრია | 97 000 | *პიემონტი* |
| 03. ანკონა | 103 500 | *მარკე* |
| 04. აოსტა | 40 000 | *ვალე დაოსტა* |
| 05. არეცო | 92 000 | *ტოსკანა* |
| 06. ასიზი | 25 000 | *უმბრია* |
| 07. ბარი | 355 000 | *ბარი* |
| 08. ბერგამო | 118 000 | *ლომბარდია* |
| 09. ბოლონია | 420 000 | *ემილია-რომანია* |
| 10. ბოლცანო | 101 000 | *ტრენტინო-ალტო* |
| 11. ბრეშა | 197 000 | *ლომბარდია* |
| 12. ბრინდიზი | 93 000 | *აპულია* |
| 13. გენუა | 700 000 | *ლიგურია* |
| 14. ვენეცია | 330 000 | *ვენეცია* |
| 15. ვერონა | 260 000 | *ვენეცია* |
| 16. ვიჩენცა | 110 000 | *ვენეცია* |
| 17. კალიარი | 212 000 | *სარდინია* |
| 18. კამპობასო | 52 000 | *მოლიზე* |
| 19. კარარა | 70 000 | *ტოსკანა* |
| 20. კასტილონე | 20 000 | *ლომბარდია* |
| 21. კატანძარო | 104 000 | *კალაბრია* |
| 22. კატანია | 365 000 | *სიცილია* |
| 23. კომო | 93 000 | *ლომბარდია* |
| 24. კორტინა დ'ამპეცო | 7 700 | *ვენეცია* |
| 25. კრემონა | 78 000 | *ლომბარდია* |
| 26. ლ'აკუილა | 65 000 | *აბრუცი* |
| 27. ლივორნო | 171 000 | *ტოსკანა* |
| 28. ლუკა | 90 000 | *ტოსკანა* |
| 29. მაჯენტა | 24 000 | *ლომბარდია* |
| 30. მანტუა | 58 000 | *ლომბარდია* |
| 31. მასა | 67 000 | *ტოსკანა* |
| 32. მატერა | 52 000 | *ბაზილიკატა* |
| 33. მერანო | 34 000 | *ვენეცია* |
| 34. მესინა | 274 000 | *სიცილია* |
| 35. მილანი | 1 400 000 | *ლომბარდია* |
| 36. მოდენა | 178 000 | *ემილია-რომანია* |
| 37. მოლფეტა | 66 000 | *აპულია* |
| 38. მონკალიერი | 62 000 | *პიემონტი* |
| 39. მონცა | 123 000 | *ლომბარდია* |
| 40. ნეაპოლი | 1 200 000 | *კამპანია* |
| 41. ნოვარა | 103 000 | *პიემონტი* |
| 42. ნოვი | 20 000 | *პიემონტი* |
| 43. პადუა | 218 000 | *ვენეცია* |
| 44. პავია | 80 000 | *ლომბარდია* |
| 45. პალერმო | 734 000 | *სიცილია* |
| 46. პარმა | 174 000 | *ემილია-რომანია* |
| 47. პერუჯა | 150 000 | *უმბრია* |
| 48. პესკარა | 129 000 | *აბრუცი* |
| 49. პიაჩენცა | 102 000 | *ტოსკანა* |
| 50. პიზა | 103 000 | *ემილია-რომანია* |
| 51. პომპეი | 23 000 | *კამპანია* |
| 52. პოტენცა | 70 000 | *ბაზილიკატა* |
| 53. რავენა | 137 000 | *ემილია-რომანია* |
| 54. რაგუზა | 64 000 | *სიცილია* |
| 55. რეჯო-დი-კალაბრია | 178 000 | *კალაბრია* |
| 56. რეჯო-ნელ-ემილია | 132 000 | *ემილია-რომანია* |
| 57. რიმინი | 131 000 | *ემილია-რომანია* |
| 58. რომი | 2 800 000 | *ლაციო* |

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

## დიდი იტალიელები



**ბენვენუტო ჩელინი 1500–1571**




**ზემორე კროსვორდი ანაგრამის პრინციპზეა აგებული, ანუ თქვენ უნდა გადაადგილოთ კითხვებად დასმულ სიტყვებში ასოები და სხვა სიტყვები მიიღოთ, *მაგალითად*: რომ ეწეროს ხარი, გამოვა ან არხი ან რახი.**

# აფორიზმების ანთოლოგია



1379. ქალი თუ კარგად გამოიყურება მინი-კაბაში, მას შეუძლია ყველაფერი ჩაიცვას.

**უცნობი ავტორი**

1380. მიზეზი იმისა, რომ ქალებს ასე გულმოდგინედ უყვართ ჩაცმა-დახურვა გახლავთ ის, რომ მამაკაცის თვალი უფრო კარგადაა განვითარებული, ვიდრე ჭკუა.

**დორის დეი**

1381. ქალი მხოლოდ ერთი მამაკაცისთვის რომ იმოსებოდეს, ეს ამდენ დროს არ წაიღებდა.

**მარსელ აშარი**

1382. ნუ იმსჯელებ კაცზე მისი საკუთარი სამოსის მიხედვით, მის შესახებ დასკვნები მისი ცოლის ტანსაცმლიდან გამოიტანე.

**თომას დიუარი**

1383. რაც უფრო ცუდად მიგდის საქმეები, მით უფრო კარგად უნდა იცვამდე.

**ინგლისური ანდაზა**

1384. ქალის სამოსი ფერწერაა, მამაკაცისა - ქანდაკება.

**ბარნეტ ნიუმენი**

1385. მიზეზი იმისა, რომ ჩვენს დროში კაცი ქალზე უფრო სერიოზულია, მხოლოდ ის გახლავთ, რომ მამაკაცის სამოსი უფრო მუქ ფერებშია გადაწყვეტილი.

**ანდრე ჟიდი**

1386. როცა მამაკაცს რაიმე სერიოზული ნაბიჯი აქვს გადასადგმელი, ფიქრობს - „რა ვთქვა" ქალი ფიქრობს - „რა ჩავიცვა?".

**უცნობი ავტორი**

1387. მინი-კაბა არანაირ ემოციებს არ აღძრავს, როცა ის გასაშრობადაა გაფენილი.

**ლორენს დაუ**

1388. დეკოლტე მატერიის შენარჩუნების უკანასკნელი საშუალება გახლავთ.

**ტამარა კლეიმანი**

1389. ქალებს ჰგონიათ, რომ ისინი მამაკაცების ან საკუთარი სიამოვნებისათვის იცვამენ, სინამდვილეში კი ისინი ერთმანეთისათვის იმოსებიან.

**ფრანსის დე მიომანდრი**

1390. თუ ქალი იმოსება იმ მიზნით, რომ თავი მოაწონოს საკუთარ ქმარს, საამისოდ იგი შარშანწინდელ კაბას ირჩევს.

**მარლენ დიტრიხი**

1391. თანამედროვე კაბა მავთულხლართს ჰგავს - იცავს ტერიტორიას, დანახვის უფლების შენარჩუნებით.

**დენი კეი**

1392. იფიქრეთ, რაც გსურთ, მარამ გრძელი კაბა მუხლების ბევრ ცოდვას მალავს.

**მეი უესტი**

1393. ქალს ისე მჭიდროდ უნდა ჰქონდეს შემოტმასნილი მკერდზე სვიტერი, რომ... მამაკაცს სუნთქვა ეკვრებოდეს.

**უცნობი ავტორი**

1394. ყველაზე მთავარი ქალის სამოსში არის ქალი, ვისაც ის აცვია.

**ივ სენ-ლორანი**

# პატარა ენციკლოპედია

## თემა – „ფრანგი მწერლები"

**ტორტელი** (Tortel) ჟან (1904-93) - მწერალი და ლიტ. მკვლევარი. მის შემოქმედებას ძირითადად ახასიათებს სამყაროს ლირიული აღქმა.

**ტრუაია** (Troyat) ანრი (დ. 1911) - ეს არის ლევ ტარასოვის ლიტ. ფსევდონიმი; იგი ეროვნებით რუსი, მაგრამ ფრანგი მწერალი გახლავთ და ძირითადად დიდი რუსი მწერლების (პუშკინი, გოგოლი, დოსტოევსკი, ტოლსტოი) ბიოგრაფიულ რომანებს წერს; აქვს ისტ. რომანებიც დეკაბრისტებზე და რომანი-ტრილოგია „ეგლეტიერების ოჯახი".

**ტურნიე** (Tournier) მიშელ (დ. 1924) - XX ს საფრანგეთის სინამდვილის ასახვაა მისი შემოქმედების ძირითადი თემა (რომანი „გასპარი, მელქიორი, ბალთაზარი").

**ფაბრ დ'ოლივე** (Fabre D'Olive) ანტუან (1767-1825) - ცნობილია, როგორც ფანტასტიურად განათლებული ადამიანი. წიგნში „ტრუბადური" ასახა მე-13 ს პროვანსალელი პოეტების ცხოვრება; ეკუთვნის ოკულტიზმთან დაახლოებული შრომები, თარგმნიდა ინგლისურ პოეზიას.

**ფევალი** (Feval) პოლ (1817-87) - ავტორი პოპულარული რომანებისა „ლონდონის საიდუმლოებანი", 1844, „კაპიტანი მოჩვენება", 1862).

**ფეი** (Faye) ჟან-პიერ (დ. 1925 წ) - „ტელ კელის" სტრუქტურალისტურ ჯგუფთან დაკავშირებული მწერალი. ექსპერიმენტული რომანები: „ძგერა", „შლუზი", Interno, ესეების წიგნი, ლექსების კრებული.

**ფეიე** ოქტავ (1821-90) - ელიტარული წრეების ცხოვრების ამსახველი რომანების ავტორი.

**ფენელონი** (Fenelon) ფრანსუა (1651-1715) - არქიეპისკოპოსი. ფილოსოფიურ-უტოპიურ რომანში „ტელემაქეს თავგადასავალი" გადმოცემულია განათლებული მონარქისტული სახელმწიფოს იდეა. ეკუთვნის დიდაქტიკური ხასიათის ტრაქტატები.

**ფილიპი** (Philippe) შარლ ლუი (1874-1909) - მოთხრობები და რომანები „მონპარნასელი ბიუბიუ", „კროკინიოლი", „შარლ ბლანშარი" და სხვა.

**ფიურეტიერი** (Furetiere) ანტუან (1620-88) - წიგნში „მეშჩანური რომანი" - საფრანგეთის ბურჟუაზიის ყოფა-ცხოვრება მე-17 საუკუნეში. შეადგინა ფრანგული ენის „საყოველთაო ლექსიკონი"

**ფლობერი** (Flaubert) გუსტავ (1821-80) - კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი. რომანები „მადამ ბოვარი" (1857) - პროვინციალურ ცხოვრებაში გამოკეტილი ქალის სულიერი ტანჯვა; „გრძნობათა აღზრდა (1869) - ახალგაზრდა კაცის წარუმატებლობათა და იმედგაცრუებათა ამბავი. ისტორიული პროზა: „სალამბო" (1862), „იროდიადა" (1877) - ზედმიწევნით ზუსტად ასახული ისტორიული სინამდვილის კავშირი მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან. დაუსრულებელი სატირული რომანი „ბუვარი და პეკუშე"; პაროდიული „ლექსიკონი ანბანური ჭეშმარიტებებისა" (გამოიცა 1910 წ).

**ფონდანი** (Fondane) ბენჟამენ (1898-1944) - წარმოშობით რუმინელი (ფუნდოიანუ), საფრანგეთში 1923 წლიდან; ავტორი კრებულებისა: „ულისე", „ტიტანიკი", „ბოდლერი და უფსკრულის გამოცდილება".

**ფონტენელი** (Fontenelle) ბერნარ ლე ბოვიე დე (1657-1757) - მწერალი, მეცნიერი-პოპულარიზატორი. „სამყაროთა სიმრავლეზე საუბრებში" და „სამისნოთა ისტორიებში" გადმოსცა კოპერნიკის სწავლება და მკვეთრად გააკრიტიკა ცრუმორწმუნეობა და ფანატიზმი.

**ფრანსი** (France) ანატოლ (1844-1924) - რომანებში „სილვესტრ ბონარის დანაშაული", „ბატონი ჟერომ კუანიარის მსჯელობანი" - სკეპტიკური ირონია თანამედროვეობის მიმართ. რომანების სერია - „თანამედროვე ისტორია" - XIX ს სფრანგეთის დასარულის სატირული მიმოხილვა. გროტესკულ-ფანტასტური რომანები - „პინგვინების მიწა" და „ანგელოზების აჯანყება. ისტ. რომანი - „ღმერთებს სწყურიათ". ნობელის პრემია - 1921 წ.

**ფრომანტენი** (Fromentin) ეჟენ (1904-93) - მწერალი და მხატვარი-ხელოვნებათმცოდნე. წიგნი - „ძველი ოსტატები" ჰოლანდიელი მხატვრების შესახებ. ფსიქოლოგიური რომანი „დომინიკი".

**შაბროლი** (Chabrol) ჟან პიერ (დ. 1925) - ანტიფაშისტური მოძრაობის მონაწილე. ისტ. რომანი - „ღვთიური შეშლილები" - 1702-04 წწ საფრანგეთის აჯანყების შესახებ. რომანი პარიზის კომუნაზე.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

# პიერ ბული

*გაგრძელება*
*დასაწყისი „ფანტაზია“ № 11-ში,*
*თარგმნის ალ.ელერდაშვილი*

*Pierre Boulle* — Planete des Singes
**Paris, 1962**

- არქეოლოგიური გათხრებისას ჩვენ ჩონჩხებიც ვიპოვეთ - მახარა კორნელიუსმა - ერთი კი არა, ბევრი ჩონჩხი და თანაც ერთმანეთის გვერდზე მიწყობილი, რაც იმის დასტურია, რომ ეს სასაფლაო იყო. ამ ფაქტმა ყველაზე გონებამრუდე არსებაც შეიძლება დააეჭვოს, მაგრამ ჩვენს ორანგუტანებს, რა თქმა უნდა, არაფრის გაგონება არ სურთ და ყველაფერს რაღაც შემთხვევითობით ხსნიან.

- მაინც რა ჩონჩხებია?

- მაიმუნების ჩონჩხები არ არის!

- გასაგებია.

ჩვენ ერთმანეთს თვალებში შევხედეთ. უცებ კორნელიუსის ენთუზიაზმი დაცხრა და უფრო მშვიდი ტონით, სიტყვების აწონვით განაგრძო:

- არ დავმალავ... ეს ადამიანის ჩონჩხია!

ზირას არანაირი განცვიფრება არ გამოუთქვამს, როგორც ჩანს მან ყველაფერი იცოდა; მე და კორნელიუსმა კვლავ თვალი თვალში გავუყარეთ ერთმანეთს. ასე ხმაამოუღებლად ვუმზერდი მას, ველოდებოდი და კორნელიუსმა, როგორც იქნა, სათქმელი პირდაპირ მითხრა:

- ახლა მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პლანეტის ბატონ-პატრონები ოდესღაც ადამიანები იყვნენ; ისინი ისევე კარგად აზროვნებდნენ, როგორც დედამიწელი ადამიანები, მაგრამ შემდგომში ადამიანთა რასამ დეგრადაცია განიცადა და ისინი ცხოველებად იქცნენ... მე კიდევ მაქვს ამ მოსაზრების დამამტკიცებელი საბუთები.

- კიდევ?

- დიახ. ეს მასალა ენცეფალური განყოფილების ერთმა თანამშრომელმა, დიდი მომავლის მქონე მეცნიერმა შიმპანზემ მოიპოვა; ის, რაც მან გააკეთა, შეიძლება გენიალურადაც ჩაითვალოს... აღარ უნდა ვიფიქროთ, რომ მაიმუნები მხოლოდ მიმბაძველები იყვნენ - განაგრძო კორნელიუსმა ერთგვარი ირონიით - ჩვენ არაერთი სიახლე შევიტანეთ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში და განსაკუთრებით ტვინის მოქმედების შესწავლის საქმეში. თუ მექნება შესაძლებლობა, ამ შიმპანზეს გამოკვლევების შედეგებს გაგაცნობთ. დარწმუნებული ვარ, გაოცებული დარჩებით.

* * *

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ კორნელიუსი უფრო საკუთარი თავას დარწმუნებას ცდილობდა იმაში, რომ მაიმუნები გენიალური არსებები არიან და რაღაც ნიშნის მოგებითაც ამიტომ მელაპარაკებოდა. მაგრამ განა მე ოდესმე მქონია სურვილი, რომ მაიმუნების შესაძლებლობებში ეჭვი შემეტანა?! რაღაც ორიოდე თვის წინ კორნელიუსი თავად შემომჩიოდა, რომ მაიმუნებს მხოლოდ მიმბაძველობითი უნარი აქვთ სათანადოდ განვითარებული, ახლა კი ერთგვარი ქედმაღლობით მიმტკიცებდა:

- დამიჯერეთ, დადგება დრო, როცა ჩვენ ყველა საკითხში ვაჯობებთ ადამიანებს; ტყუილად ხომ არ ვართ ჩვენ ადამიანური კულტურის მემკვიდრენი - აქ არანაირი შემთხვევითობა არ არსებობს. ეს ევოლუციის ნორმალური სვლის შედეგად მოხდა. მოაზროვნე ადამიანის ბატონობის ხანა დასრულდა და მის შემცვლელად მოვიდა უფრო სრულყოფილი არსება, რომელსაც ადამიანთა მიღწევების შენარჩუნება, მათი ცივილიზაციის შემდგომი სრულყოფა და ახალი მიჯნების დალაშქვრა ევალება!

საკითხის ამგვარი კუთხით წარმოჩენა, ჩემთვის სიახლე გახლდათ. მე შემეძლო მეთქვა კორნელიუსისთვის, რომ ბევრი დედამიწელი ფილოსოფოსი წინასწარმეტყველებდა იმას, რომ ადამიანის შემცვლელად ოდესმე აუცილებლად მოვიდოდა უფრო მეტად სრულყოფილი არსება, მაგრამ არცერთ მეცნიერსა და პოეტს წამითაც არ მოსვლია აზრად, რომ ეს სრულყოფილი ქმნილება მაიმუნი იქნებოდა. მე მაშინ უბრალოდ არ მსურდა კამათის გაგრძელება და თავი იმით დავიმშვიდე, რომ აზროვნების უნარი შენარჩუნებულ იქნა, ხოლო რა არსებაში მოხდა მისი შემონახვა, პრაქტიკულად უმნიშვნელოდ მეჩვენებოდა იმწუთს, რადგან სულ სხვა რამ მაწუხებდა და ეს ნოვას მდგომარეობა გახლდათ. კორნელიუსს ვკითხე მისი ამბავი და მან დამამშვიდა:

- ნუ ღელავთ! ყველაფერი კარგად იქნება... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იქნება ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანი, როგორებიც სორორაზე მრავლადაა.

- მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ბავშვი იმეტყველებს! - ეს სიტყვები ისეთი მრისხანებით წარმოვთქვი, რომ ზირამ შუბლი შეიკრა და მზერით მანიშნა - დავდუმებულიყავი.




**პლანეტა**

- მე თქვენს ადგილზე ბავშვს ამას არ ვუსურვებდი - ბრაზმორეულმა მიპასუხა კორნელიუსმა - ეს არც მის და არც თქვენს ინტერესებში არ შედის.

მცირე პაუზის შემდეგ კი უფრო მეგობრული ტონით დაამატა:

- ის ბავშვი თუ ამეტყველდა, ვეჭვობ, რომ კვლავაც შევძლო თქვენი დაცვა, რასაც აქამდე ვაკეთებდი. თქვენ, მგონი, არ გსურთ იმის დაჯერება, რომ დიდი საბჭო თქვენს მიმართ გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამს. მე მაქვს უმკაცრესი მითითება, რომ ბავშვის დაბადება საიდუმლოდ შევინახო. თუ ხელისუფლება გაიგებს, რომ თქვენ ყველაფერი იცით, მე დაუყოვნებლივ გამათავისუფლებენ ამ თანამდებობიდან, ზირასაც გაათავისუფლებენ და თქვენ დარჩებით...

- მტრების პირისპირ?

კოენელიუსმა თვალი ამარიდა. ესე იგი, სწორად გავიგე: მე კვლავაც მაიმუნთა რასისი პოტენციურ მტრად მთვლიდნენ; ასეა თუ ისე, მაინც სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ კორნელიუსის სახით, მეგობარი თუ არა, მოკავშირე მაინც მყავდა ამ პლანეტაზე. ზირა კი ბევრად უფრო დიდ კეთილგანწყობას ამჟღავნებდა ჩემს მიმართ და ახლაც, მის ნებას ვერ შეეწინააღმდეგა კორნელიუსი და მე ჩუმად ნოვას ნახვის უფლება მომცეს.

* * *

ზირამ პატარა იზოლირებული სახლისაკენ წამიყვანა, რომლის გასაღები მხოლოდ მასთან ინახებოდა. ჩვენ პატარა ოთახში შევედით. იქ სამი გალია იდგა, ორი ცარიელი იყო. მესამეში ნოვა იჯდა. მან კარის გაღების ხმა გაიგონა და რაღაც მეექვსე გრძნობით მიხვდა, რომ მე მივედი, რადგან ჯერაც დანახული არ ვყავდი, რომ უკვე მისი ნაცნობი ძახილი შემომესმა. ახლოს რომ მივედი, თავზე ხელი გადავუსვი და სახე სახეზე მივადე; ზირამ ზიზღით აიჩეჩა მხრები, მაგრამ გალიის გასაღები მაინც მომცა, თავად კი დერეფანში გავიდა საყარაულოდ. რა კეთილი გული აქვს ამ მდედრ შიმპანზეს! რომელი სხვა ქალი იქნებოდა ასეთი გამგები?! ზირა მიხვდა, რომ მე და ნოვას ბევრი რამ გვქონდა ერთმანეთთან სათქმელი და ამიტომაც დაგვტოვა!...

ბევრი სათქმელი?! ვაი, რომ კვლავ დამავიწყდა, ვისთანაც მქონდა საქმე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შევვარდი გალიაში, მოვეხვია ნოვას და ისე დავუწყე ლაპარაკი, როგორც დიდი ხნის უნახავ ვინმე დედამიწელ ქალბატონს მოვეპყრობოდი.

ნუთუ ახლაც ვერაფერი გაიგო?! ნუთუ მას იმ დიდი მისიის წინათგრძნობაც კი არ ჰქონდა, რაც ჩვენ განგებამ გვარგუნა და რის წინაშეაც იგი ისევეა პასუხისმგებელი, როგორც მე!

მე წამოვწექი ნოვას გვერდით თივაზე და მსურდა ჩვენი სიყვარულის ნაყოფის არსებობა როგორმე შემეგრძნო. რატომღაც მომეჩვენა, რომ ფეხმძიმობამ ნოვაში ღირსების გრძნობა შვა, ერთგვარი ინდივიდუალურობაც შესძინა მას, რაც ადრე არ ჰქონია. როცა მის მუცელს შევახე ხელი, ნოვა ათრთოლდა, მზერაშიც რაღაც სხივი ჩაუდგა... დიახ, დიახ, ეს ასე იყო! და უცებ ნოვამ დამარცვლით წარმოთქვა ჩემი სახელი! ესე იგი ჩემმა გაკვეთილებმა შედეგი გამოიღეს! სული განუსაზღვრელი სიამაყით აღმევსო!... ნოვამ კი, როგორც ჩანს, ეს საკმარისად ჩათვალა, ჩემს მიერ მიტანილი ხილისკენ შებრუნდა და მადიანად დაუწყო ჭამა.

...მალე ზირაც შემოვიდა. ჩვენ წასვლის დრო იყო. გამოვედით იმ სახლიდან, გზად არაფერი გვითქვამს, მაგრამ ზირა ხვდებოდა, რა ქარიშხალიც ტრიალებდა ჩემს არსებაში და ამიტომ ჩემს ოთახამდე მიმაცილა, იქ კი ველარ მოვითმინე და პატარა ბავშვივით ავტირდი:

ო, ზირა, ზირა!

... და გავიმეორე ამ შიმპანზესთან ყველაფერი ის, რაც ნოვასთან ვთქვი, მსურდა ეს სიტყვები გაეგო გონიერ მდედრს, ვინც სათანადოდ შეაფასებდა მათ...

## მეშვიდე თავი

ეს შიმპანზე კი არა, ბუნების გვირგვინია!

დიახ, ზირაზე მოგახსენებთ, ვინც უკანასკნელ დროს ხშირად მაძლევს იმის საშუალებას, რომ ნოვასთან ვიარო. საათობით ვზივარ ნოვას გვერდით და მის თვალებში სინათლის ყოველ გაელვებას აღტაცებით ვხვდები... და ასე, ბავშვის დაბადების მოლოდინში, კვირა კვირას მისდევს...

* * *

ერთხელ კორნელიუსმა მაინც გაბედა და ის ენცეფალური განყოფილება მაჩვენა, რაზედაც საოცრებებს მიყვებოდა. თუმცა ეს კორნელიუსმა კი

არა, იმ ახალგაზრდა გენიალურმა შიმპანზემ გააკეთა, რომელიც კორნელიუსმა, საკუთარი მოუცლელობის გამო, ბოდიშის მოხდით თან მაახლა. ამ შიმპანზეს ჰელიუსი ერქვა.

- მე ერთ საათში შემოგიერთდებით - მითხრა კორნელიუსმა - და იმ ჩვენს ყველაზე ფასეულ ექსპონატს გაჩვენებთ, რაც მრავალი მოსაზრების დამამტკიცებელი საბუთი გახლავთ - ხომ გახსოვთ, ადრე უკვე გითხარით ეს - მანამდე კი კლასიკურ ცდებს გაეცანით; მე მგონი, ეს ყველაფერი დაგაინტერესებთ.

ამ სიტყვებით კორნელიუსი დაგვშორდა და მე ჰელიუსს გავყევი. ჩვენ ერთ უზარმაზარ დარბაზში შევედით, სადაც ორმხრივ გალიები იყო ჩამწკრივებული. ამგვარი სიტუაცია ამ ინსტიტუტში ნაცნობი გახლდათ ჩემთვის, მაგრამ აქ სუნიც რაღაც სხვაგვარი იყო, თავი აფთიაქში გეგონებოდათ, სადაც ბევრი ქლოროფორმაა დაგროვილი. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს მართლაც რაღაც ანესთეზიის საშუალებათა მაგვარი ნივთიერების სუნი იყო. ჩემმა გიდმა განმიმარტა, რომ ახლა ყველა ოპერაცია ნარკოზის საშუალებით ტარდებოდა. ამ დეტალს მან რაოდენიმეჯერ გაუსვა ხაზი, რასაც, მგონი მაიმუნური ცივილიზაციის ერთ-ერთ მიღწევადაც კი თვლიდა, ანუ იმის თქმა სურდა, რომ იმგვარ ცხოველებსაც კი, როგორიც ადამიანია, ანგარიშს უწევენ და ოპერირებისას ტკივილის შეგრძნებას უკარგავენ... ასე რომ, მე შემეძლო დამშვიდებული ვყოფილიყავი!




მაგრამ, კაცმა რომ თქვას, სიმშვიდეს ნაკლებად ვგრძნობდი. სიმშვიდეს კი არა, უკიდურესმა აღშფოთებამ შემიპყრო, როცა გავიგე, რომ ანესთეზიაზე ხშირად შეგნებულად ამბობენ უარს, რათა ექსპერიმენტების ობიექტის წამების მექანიზმი შეისწავლონ და ტკივილის ნერვული ცენტრების ლოკალიზირება მოახდინონ... მადლობა ღმერთს, იმ დღეს ამგვარი ექსპერიმენტების ჩვენებას არ აპირებდნენ!

ამგვარი შესავალი იმისათვის გავაკეთე, რომ კიდევ ერთხელ დამემტკიცებინა თუნდაც საკუთარი თავისთვის, რომ მე კვლავაც ადამიანი ვიყავი! გამახსენდა, რომ ზირა ცდილობდა გადაეთქმევინებინა ჩემთვის სურვილი ამ განყოფილებაში მოხვედრისა, სადაც თავადაც მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, იშვიათად დაიარებოდა. გამახსენდა ეს და უკან გამობრუნებას ვაპირებდა, მაგრამ ჰელიუსმა არ მომცა ამის საშუალება:

- გსურთ, ერთ-ერთ ასეთ ოპერაციას დაესწროთ და დარწმუნდეთ, რომ ექსპერიმენტის ობიექტი ტკივილს არ განიცდის. არ გინდათ? მაშინ ექსპერიმენტების შედეგებს გაეცანით.

ჩვენ საოპერაციო ოთახს გვერდზე ჩავუარეთ და გალიებთან მივედით. პირველ მათგანში საოცრად ლამაზი, მაგრამ ძალზედ გამხდარი ყმაწვილი იჯდა. იგი ნახევრად იყო წამოწოლილი და წინ ჯამით ის ტკბილი ფაფა ედგა, რაც ძალიან უყვარდათ სორორელ ადამიანებს. ყმაწვილი უაზროდ მისჩერებოდა ჯამს და ამოძრავების არანაირ სურვილს არ ავლენდა.

- შეხედეთ - მითხრა ჰელიუსმა - ეს ადამიანი მშიერია, მას უკვე ოცდაოთხი საათის განმავლობაში არაფერი უჭამია და მაინც არანაირად რეაგირებს თავისი საყვარელი ფაფის ხილვისას. ეს იმის შედეგია, რომ ტვინის შუბლქვემოთა ნაწილი აქვს ამოცლილი მას. ამ ყმაწვილს ოპერაცია რამდენიმე თვის წინ გაუკეთეს და მას საერთოდ დაეკარგა ჭამის მოთხოვნილება; ჩვენ მას ხელოვნურად ვკვებავთ, რათა არ მოკვდეს.

ჰელიუსმა ნიშანი მისცა დარაჯ-გორილას, რომელიც შევიდა გალიაში და ყმაწვილს ცხვირი ჩააყოფინა ჯამში, რის შედეგადაც ორიოდე ლუკმა თუ გადაყლაპა იმ საბრალომ.

- ეს ჩვეულებრივი შემთხვევაა - განაგრძო ჰელიუსმა - აი, უფრო საინტერესო ფაქტები...

ჩვენ სხვა გალიებთან ჩავიარეთ, სადაც სხვადასხვა ასაკის კაცები და ქალები ისხდნენ; ყოველ გალიაზე გაკეთებული იყო აბრა, რაზედაც ყველა სამედიცინო თუ ტექნიკური დეტალი იყო აღნიშნული.

- ტვინის ქერქის ზოგი ნაწილი ნამდვილი რეფლექსის გამოვლენას ახერხებს, ზოგი კი - პირობითისას. აი, მაგალითად ეს შემთხვევა....

ამ „შემთხვევას", როგორც აბრა იუწყებოდა, კეფის მხარეს ტვინის დიდი ნაწილი ამოჰკვეთეს და შედეგად მას აღარ შეეძლო აღარც საგნების ფორმების აღქმა და არც ამ საგნებამდე მანძილის დადგენა, ანუ სრულიად უმიზნოდ მოძრაობდა და გზად ვერანაირ დაბრკოლებას ვერ ამჩნევდა. მას არ შეეძლო მისკენ გაწვდილი ნაყოფის აღება, რადგან ვერ აცნოიბიერებდა მის ზომებს და მასთან დაშორებას. მას გისოსებზედაც კი არ შეეძლო ხელის ჩავლება და თითებით სიცარიელეზე ჩამოკიდებას ცდილობდა.

- აი, კიდევ ერთი - განაგრძობდა შიმპანზე - ადრე ეს შესანიშნავი ცხოველი იყო. ჩვენ მას საოცარი ტრიუკები ვასწავლეთ, მან თავისი სახელიც იცოდა და მარტივ ბრძანებებსაც ასრულებდა; იგი ექსპერიმენტების დროს საკმაოდ რთულ ამოცანებსაც ართმევდა თავს და საამისოდ იარაღებსაც კი იყენებდა. დღეს კი მას აღარაფერი ახსოვს - აღარც თავის სახელზე რეაგირებს და ვეღარც ვეღარაფერს აკეთებს... იგი ახლა ყველაზე უგნურია ამ დარბაზში და იცით რატომ? მის ტვინს ჩაუტარდა უფაქიზესი ოპერაცია!

ამ საზიზღრობების ხილვამ გულისრევა დამაწყებინა და თითქმის აღარაფერი მესმოდა ამ ათასნაირად დაჭყანული შიმპანზესი. ჩემს თვალწინ გალიაში ისხდნენ ადამიანები, ერთნი მთლიანად ან ნაწილობრივ პარალიზებულნი, მეორენი ხელოვნური ჩარევით დაბრმავებულები, მესამენი დაყრუებულები... ვნახე ქალი, რომელიც, ჰელიუსის თქმით, ადრე საოცარ დედობრივ ინსტინქტს ავლენდა, ახლა კი მთლიანად იყო ჩაკლული მასში ეს უნარი ნახევარსფეროებზე ჩატარებული გაკვეთის შედეგად (cortex corvical). ეს ქალი ზიზღით და ბრაზით იშორებდა თავიდან საკუთარ შვილს, როცა კი პატარა არსება დედასთან მიახლოებას ცდილობდა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო! მე უცებ ნოვა გამახსენდა, რადგან სულ მალე ისიც დედა უნდა გამხდარიყო... ჩემდა უნებურად მუშტები შემეკუმშა და, ჰელიუსს სხვა დარბაზში რომ არ გავეყვანე, შეიძლება რაიმე უგნურება მეც ჩამედინა.

- აქ კი - მითხრა მეცნიერმა-შიმპანზემ იდუმალი სახით - უფრო რთულ ექსპერიმენტებს ვატარებთ. აქ სკალპელის ნაცვლად უფრო დახვეწილ იარაღს ვხმარობთ. იგულისხმება თავის ტვინის სხვადასხვა უბნის გაღიზიანება ელექტროდენის საშუალებით. ჩვენ საოცარ შედეგებს მივაღწიეთ! ისე კი, საინტერესოა, დედამიწაზე თუ ატარებთ მსგავს ცდებს?

- დიახ, მაიმუნებზე! - წამოვიძახე გაშმაგებით

შიმპანზეს კი სულაც არ სწყენია ეს.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა - ჩაილაპარაკა მან ღიმილით - და მაინც, მე არ მგონია, რომ თქვენ ასეთი შედეგები გექნებათ. მე ვგულისხმობ ექსპერიმენტს, რომელსაც დოქტორი კორნელიუსი თავად წრმოგიდგენთ. ჯერ კი სხვა ცდების შედეგებს გავეცნოთ.

ჰელიუსმა იმ გალიების გვერდით ჩამატარა, სადაც მაიმუნი ექიმები ოპერაციებს ატარებდნენ. ადამიანები რაღაც საოპარციო მაგიდის მაგვარ დგამზე იწვნენ, თავის ქალის ტრაპენაციის შეეგად ტვინის ესა თუ ის უბანი იყო გაშიშვლებული. ვიდრე ერთი მაიმუნი-ანესთეზიოლოგი ნარკოზის მიწოდებას არეგულურებდა, მეორე მფეთქავ ტვინს ელექტროდენს უერთებდა.

- ხედავთ - ჩვენ აქაც ვიყენებთ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს და ცდის ობიექტი არანაირ ტკივილს არ გრძნობს.

